თემა 6

ხილი

Фрукты

ამოცანები:

- ვასწავლოთ ქართულის, როგორც მეორე ენის შემსწავლელ მოსწავლეებს სხვადასხვა ხილის სახელი ქართულ ენაზე.
- მარტივი შეკითხვების ჩამოყალიბება კითხვითი სიტყვის „რა“-ს მეშვეობით.

გაკვეთილის თემა:

არმენი და რამიკა თამაშობენ „სახელობანას“.

არმენი და რამილა მეგობრები არიან. ისინი ხშირად თამაშობენ.
-არმენ მოდი ვითამაშოთ?
-რა ვითამაშოთ?
-სახელობანა. ხილის სახელებზე.
-კარგი ვითამაშოთ.
-მე ვიწყებ.
-არა მე ვიწყებ,
- არა, მე, მე დაგასწარი.
- კარგი დაიწყე, დაუთმო რამილამ.
მსხალ-ი, შენი ჯერია
მსხალი, ანუ მე „ლ“ ასოზე უნდა ვთქვა
-კი „ლ’ ასოზე ამბობ
-კარგი „ლეღვ-ი, ახლა შენი ჯერია
-ლეღვი? ანუ მე „ვ“ ასოზე უნდა ვთქვა
-კი „ვ“ ასოზე ამბობ
-ვაშლ-ი
-ვაშლი? კარგი, ანუ მე ისევ „ლ“ასოზე უნდა ვთქვა
- კი „ლ“ ასოზე ამბობ
-ლიმონ-ი“, ახლა შენი ჯერია
-ანუ მე „ნ“ ასოზე ვამბობ“
კი „ნ“ ასოზე ამბობ
ნესვ-ი
ნესვი? ჩემი ჯერია.
ვაშლატამა
არაა, ვაშლატამა არა, ვაშლი უკვე იყო.

ვაშლი იყო, მაგრამ ვაშლატამა არა;
კარგი იყოს, მაშინ, ჩემი ჯერი თუა „ატამ-ი“
აუფ, ატამი? ჩემი ჯერია ხო, „მანდარინინ, მანადარინი“, „ნ“ ასოზე ამბობ, შენი ჯერია
ჩემი ჯერია. არ ვიცი. წავაგე.
შენ იცი ხილი „ნ“ ასოზე?

ლექსიკა	ძირითადი ფრაზები/წინადადებები
• ვაშლი • ლიმონი • ბანანი • ფორთოხალი • ანანასი • ავოკადო • ატამი • მიყვარს • ხილი	• რა ხილია ეს? • ეს ვაშლია. • გიყვარს ვაშლი? • კი, მიყვარს. • მე არ მიყვარს. • მე მიყვარს ვაშლი / მსხალი / ატამი...

1. **მოსასმენი თამაშები პირველი სამი ხილის დასახელების შესასწავლად**

გააცანით ბავშვებს პირველი სამი ხილი და ათამაშეთ დაჭერობანა. დაუწყვეთ ბარათები ხილის გამოსახულებით ან თვითონ ხილი მაგიდაზე და მიეცით მითითება ხელი დაადონ თქვენს მიერ დასახელებულ ხილს. რამდენიმე წუთის შემდეგ ბარათები ოთახში მიმოფანტეთ და უთხარით მოსწავლეებს, გაიქცნენ თქვენ მიერ დასახელებული ბარათისკენ. შემდეგ უთხარით მოსწავლეებს, განასახიერონ თქვენ მიერ დასახელებული ხილი თავიანთი სხეულით.
თუ ბავშვებმა ადვილად გაართვეს თამაშს თავი, შეგიძლიათ კიდევ სამი საჭმლის სახელიც გააცნოთ და კვლავ ითამაშოთ ზემოთ მოყვანილი თამაში ან ახალი სამი სიტყვის ან, იმ შემთხვევაში თუ სწრაფად ამთვისებელი მოსწავლეები გყავთ, ექვსივე სიტყვის გამოყენებით. თქვენ თვითონვე უნდა განსაზღვროთ თამაშის ტემპი.

ახლა ათამაშეთ თამაში - მაჩვენე, მესამე ვარიაცია. ამ თამაშში თქვენ სხვადასხვა ბარათს აჩვენებთ ბავშვებს, რომლებიც ჩუმად დახედავენ თავიანთ ბარათს და ამოატრიალებენ ან მკერდზე დაიმაგრებენ.
ჩართეთ მუსიკა ათი წუთის განმავლობაში. მიეცით მოსწავლეებს მოძრაობის საშუალება. როდესაც მუსიკას გააჩერებთ დაასახელეთ რომელიმე ხილის სახელი, ამ დროს ბავშვი,

რომელსაც ამ ხილის გამოსახულებიანი ბარათი აქვს ყველას აჩვენებს მას. შეგიძლიათ სხვა ელემეტებიც დაამატოთ თამაშს, მაგალითად, მუსიკის გამორთვისას ყველა უნდა გაშეშდეს, გარდა იმ მოსწავლისა, რომლის ბარათზეც თქვენს მიერ დასახელებული ხილი იქნება გამოსახული. ყველა სიტყვის გამეორების შემდეგ შეგიძლიათ კვლავ ითამაშოთ თამაში ან გადახვიდეთ სხვა თამაშზე.

საიდუმლო ყუთი

თუ მოსწავლეები მზად არიან, დაიწყეთ სასაუბრო თამაშები, როგორიცაა საიდუმლო ყუთი, რომელსაც ხვრელს უკეთებთ და მასში ნამდვილ ხილს აწყობთ. მოსწავლეებმა ხელი უნდა ჩაყონ ყუთში და შეიგრძნონ რას შეეხნენ.
ყუთს რამდენიმე ხვრელი გაუკეთეთ, რომ რამდენიმე მოსწავლემ ერთდროულად შეძლოს ყუთში ხელის ჩაყოფა. დიდი ჯგუფის შემთხვევაში ერთ ყუთზე მეტი დაგჭირდებათ. ჩემი აზრით, 2-4 მოსწავლეს შეუძლია ერთდროულად ჩაყოს ყუთში ხელი და თუ რვა ბავშვიანი ჯგუფი გყავთ ერთი ყუთიც საკმარისი იქნება, რადგან რიგს დაელოდებიან. იმ შემხთხვევაში თუ 12 მოსწავლე გყავთ, გირჩევთ ორი ყუთი გქონდეთ, რათა ბავშვებს წუთზე მეტი დრო არ მოუხდეთ ლოდინი, რაც დისციპლინურ პრობლემებსაც შეუწყობს ხელს.
შეგიძლიათ ამ თამაშის ვარიაციაც სცადოთ: სამი ობიექტი ჩადოთ ყუთში. ორი მსგავსია და ერთი ზედმეტი. მაგალითად, ყუთში ერთ ბანანს და ორ ფორთოხალს ჩადებთ. მოსწავლეები ხელს შეახებენ და დაასახელებენ რომელი ხილია ზედმეტი.

ბანერი

1. ხილი ერთად;

კარტები-ნახატები:

1. ვაშლი,
2. მსხალი,
3. ატამი
4. ლიმონი,
5. ბანანი,
6. ფორთოხალი,
7. ანანასი,
8. მარწყვი